ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3819128

ნომერი: AR1575657

თარიღი : 07.02.2018

გაცემის თარიღი : 14.02.2018

გაცნობის თარიღი : 14.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქუჩა გაგარინი, N25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლი იმედაძე პ/ნ 01006013589
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 20 ბ. 91

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 07.02.2018 წ. N AR1575657 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის ქ. N25 არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: № 01.10.13.005.005), ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მუხლი N66-ის პუნქტი N6-ის და მუხლი N17-ის პუნქტი N2-ის (საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა) შესაბამისად გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის ქ. N25 არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: № 01.10.13.005.005) ღია სეზონური/საზაფხულო კაფის მოსაწყობად 2019 წლის 14 თებერვლამდე წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.